ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ქართველური ენათმეცნიერება / Georgian (Kartvelian) Linguistics
პროგრამა შედგება ოთხი მოდულისაგან:

I მოდული, ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა.
II მოდული, ქართველური ენები და დიალექტები.
III მოდული, ქართული ენის პრაგმატიკა.
IV მოდული, ქართული როგორც მეორე ენა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი / Master of Arts in Georgian (Kartvelian) Linguistics
სპეციალობა: ქართველური ენათმეცნიერება/ Georgian (Kartvelian) Linguistics

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად იშლება: 30 კრედიტი – პროგრამის სავალდებულო კურსები; 30 კრედიტი – ცალკეული მოდულის სავალდებულო კურსები; 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი
სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ქართველური ენების კვალიფიციური სპეციალისტები, კერძოდ, მაგისტრანტებს საფუძვლიანად შეასწავლოს ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური ენების და დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები, ქართული ენის პრაგმატიკა და ქართულის როგორც მოერე ენის სწავლების საკითხები. გააცნოს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-შედარებითი და დესკრიპციული ანალიზის პრინციპები, ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები; ასწავლოს დიალექტების აღწერის პრინციპები; განუვითაროს დიალექტურ ტექსტებზე მუშაობის უნარი; ანალიტიკური აზროვნება, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა და მეცნიერული კვლევის უნარი. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების სპეციალობის ფილოლოგთა მომზადებას და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას საერთაშორისო ლინგვისტურ სივრცეში.

ამ შინაარსისა და პროფილის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება სრულიად ლოგიკურია, რადგან დღეს ქართულის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასევე დიდია ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლისა და სწავლების მნიშვნელობა; ასევე მეტად აქტუალურია ქართული ენის დიალექტებისა და სხვა ქართველური ენების მონაცემების შესწავლა–განხილვა მსოფლიოს სხვადასხვა ენებთან და კულტურებთან მიმართებით. ამიტომ შრომით ბაზარზე ქართულის და ქართველური ენების სპეციალისტებზე მოთხოვნა დიდია.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამა **„ქართველური ენათმეცნიერება“** ითვალისწინებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას. კერძოდ, ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაზე; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. უნივერსიტეტს აქვს ამ დარგის განვითარების კარგი ტრადიციები და აკადემიური პოტენციალი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდა.

ბ) ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით, აღმოსავლეთმცოდნეობის და კავკასიოლოგიის მიმართულებით; ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიასა ან გამოყენებით ენათმეცნიერებაში.

გ) უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

დ) სასპეციალიზაციო გამოცდა ქართულ ენაში.

სწავლის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ეცოდინება ქართველური ენები და გაცნობიერებული ექნება ქართველური ენათმეცნიერების კარდინალური საკითხები. მიღებული კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს გააცნობიეროს ქართველური ენათმეცნიერების ცალკეული პრობლემები, მონახოს ამ პრობლემათა გადაჭრის გზები და შეიმუშაოს ორიგინალური იდეები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ,

- პირველი მოდულის ბაზაზე კურსდამთავრებულს ეცოდინება ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურა; გაცნობიერებული ექნება ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენაზე შესრულებული ტექსტების ლინგვისტურად გამართვისა და შესაბამისი სალექსიკონო მასალის ანალიზის პრობლემატიკა. კურსდამთავრებულს შესწავლილი და გაცნობიერებული ექნება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.
- მეორე მოდულის ბაზაზე კურსდამთავრებულს ეცოდინება ქართველური ენებისა და ქართული დიალექტების სტრუქტურა; გაცნობიერებული ექნება კოლხურ და სვანურ ენებზე შესრულებული ტექსტებისა და ქართული დიალექტური ტექსტების ლინგვისტურად გამართვისა და შესაბამისი სალექსიკონო მასალის ანალიზის პრობლემატიკა.
- მესამე მოდულის ბაზაზე კურსდამთავრებულისათვის თვალსაჩინო გახდება ენის, კონკრეტულად, ქართული ენის, როლი და ადგილი, აგრეთვე, ლინგვისტიკის, კონკრეტულად ქართული და ქართველური ენათმეცნიერების წვლილი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.
- მეოთხე მოდულის ბაზაზე კურსდამთავრებულს გააცნობიერებული ექნება ქართულის როგორც მეორე ენის სწავლებისა და შესწავლის პრობლემატიკა. კურსდამთავრებულს ეცოდინება მეორე

ენის სწავლებისა და შესწავლის თეორიები და მათი პრაქტიკულად გამოყენების მნიშვნელობა ქართულის როგორც მოერე ენის სწავლების პროცესში.

მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ბ) ცოდნის პრაქტიკული გამოყენება/პრაქტიკული უნარები

კურსდამთავრებული შეიძენს არა მარტო ქართველური ენების სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების ცოდნას, არამედ ფართო ჰუმანიტარულ განათლებას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევებისათვის. ყოველივე ეს კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას, ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში თავისუფლად იმოქმედოს, მოიძიოს კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზები და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წარმართოს კვლევა უახლესი მეთოდების გამოყენებით. კერძოდ,

- პირველი მოდულის ბაზაზე კურსდამთავრებულს ექნება უნარი ენათმეცნიერული თვალსაზრისით განიხილოს ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ტექსტები, გამოსაცემად მოამზადოს ისინი. შეეძლება ბიბლოგრაფიის მომზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ექნება უნარი აწარმოოს ტექსტოლოგიური კვლევა და ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ დაწეროს ლინგვისტური გამოკვლევა.
- მეორე მოდულის ბაზაზე კურსდამთავრებულს ექნება უნარი ლინგვისტურად განიხილოს კოლხური, სვანური და ქართული დიალექტური ტექსტები, გამოსაცემად მოამზადოს ისინი. შეეძლება ბიბლოგრაფიის მომზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ექნება უნარი აწარმოოს ტექსტოლოგიური კვლევა, კოლხური და სვანური ენებისა და ქართული დიალექტების შესახებ დაწეროს საენათმეცნიერო გამოკვლევა.
- მესამე მოდულის ბაზაზე კურსდამთავრებულს ექნება უნარი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების საშუალებით აწარმოოს რედაქციული სამუშაო ნებისმიერი ტიპის ქართულ ტექსტზე.
- მეოთხე მოდულის ბაზაზე კურსდამთავრებულს ექნება უნარი მიაწოდოს და გასაგები გახადოს ქართული ენის თავისებურებანი როგორც საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას, ასევე საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან ქართულის როგორც მეორე ენის შესწავლის საკითხებით.

მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

გ) დასკვნის გაკეთების უნარი

ქართული და სხვა ქართველური ენების მონაცემებსა და მათი კვლევის შესაბამის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კურსდამთავრებული მოახერხებს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და რთული (ზოგჯერ არასრული) ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

დ) კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება უნარი, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით, დაამყაროს კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის ცალკეული მოდულების მიხედვით ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების შესახებ ქართულ და უცხოურ ენაზე

ე) სწავლის უნარი

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ქართული და სხვა ქართველური ენების თავისებურებების ცოდნა, ერთი მხრივ, და თანამედროვე საენათმეცნიერო მეთოდების ცოდნა, მეორე მხრივ, მაგისტრის გამოუმუშავებს სწავლის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარს, რაც მას დაეხმარება დამოუკიდებლად წარმართოს სწავლა.

ვ) ღირებულებები

ქართული და სხვა ქართველური ენების ნიმუშების გაცნობა, ქართველური ენების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა მაგისტრს შესაძლებლობას მისცემს შეაფასოს თავისი და სხვისი დამოკიდებულება ღირებულებებისადმი, რაც, თავის მხრივ, აღუძრავს სურვილს, შეიტანოს წვლილი ახალი ღირებულების დამკვიდრებაში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად, იმისათვის, რომ მაგისტრმა მიიღოს ღრმა და სისტემური ცოდნა ქართველურ ენათმეცნიერებაში და შეიძინოს ენის სპეციალისტის კარგად განვითარებული, უნივერსალური უნარ-ჩვევები, შეძლოს სპეციალური ტერმინოლოგიისა და ფაქტობრივი მასალის შემოქმედებითი ათვისება, მისი თეორიულ საფუძველზე განზოგადება და სისტემატიზება, შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები, დამოუკიდებლად გაართვას თავი კომპლექსური თეორიული პრობლემების კვლევას; ახალი კუთხით შეხედოს არა მარტო ტრადიციულ საკითხებს, არამედ თავადაც დასვას ახალი პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის ინოვაციური გზები; შემოქმედებითად გამოიყენოს ან ორიგინალურად განავითაროს ტრადიციული იდეები, ჰქონდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი პროგრამაში ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში პროგრამაში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: კლასიკური ლექცია, ვერბალური გადმოცემის, ინტერაქტიული სწავლების მეთოდები. წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა ჩართულობა (დისკუსია/დებატების საფუძველზე) პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისების წინაპირობაა. გამოყენებული იქნება ფორმალური ლოგიკის მეთოდები (ინდუქცია, დედუქცია, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, სინთეზი და ანალიზი). სტუდენტის მიერ მასალის ათვისებისათვის გამოყენებული იქნება როგორც ზეპირი (სემინარი), ისე წერითი მეთოდი.

გამოიყენება შედარებით-ისტორიული ანალიზის მეთოდები. რაც შეეხება ლექციის წარმართვის მეთოდებს, გამოიყენება მონოლოგის, დიალოგისა და მსჯელობის მეთოდები. სემინარული მუშაობის დროს ზოგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება როლურ-სიტუაციური მეთოდი, კერძოდ, სტუდენტების წინასწარ ჯგუფებად დაყოფისა და მათთვის სათანადო კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, შესაძლებელია ჩატარდეს დებატები წინასწარ შერჩეულ თემაზე. ენობრივი და ლიტერატურული პროცესების სისტემური და კომპარატივისტული ანალიზის მეთოდების გამოყენება. აღნიშნული მეთოდები მიზნად ისახავს სტუდენტის სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ ქცევას, ცოდნის დაგროვების პროცესში მის დაინტერესებას და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებას.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების სალექციო პრეზენტაცია მიზანშეწონილია კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ანალოგიური მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია სტუდენტის მიერ მომზადებული რეფერატის პრეზენტაციაც.

სწავლისა და სწავლების მეთოდების ეს ერთობლიობა და მრავალფეროვნება, სწავლისა და სწავლების ეს სტრატეგიები მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესრულება, რაც ქართული და ქართველური ენების თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსი სპეციალსიტის აღზრდას გულისხმობს.

„ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ზოგჯერ მეთოდთა შერწყმაც ხდება. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორიციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 _ ფრიადი, A; 81-90 _ ძალიან კარგი, B; 71-80 _კარგი, C; 61-70 _ დამაკმაყოფილებელი, D; 51-60 _ საკმარისი, E; 41-50 _ ვერ ჩააბარა, FX; 0-40 _ ჩაიჭრა, F.

სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო, ღია და გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის.

სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების ფორმებია: წერითი და ზეპირი საშინაო დავალება, პრეზენტაცია, საკონტროლო წერა, რეფერატის ან ესეს შესრულება, შუალედური გამოცდა (საკითხებით ან ტესტური სახით), წერითი ან კომბინირებული გამოცდის შეფასება. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, შეფასების შედეგების გაცნობას, ანალიზს, ტიპური შეცდომების განხილვას, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში, უკეთ გაიაზროს თავისი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნოს თავის პროფესიულ განვითარებაზე. სტუდენტს აქვს აპელაციის უფლება.

სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე, სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს. ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. რეცენზენტი წერს მაქსიმალურ 40 ქულას, ხოლო სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია მაქსიმალურ 60 ქულას.

დასაქმების სფეროები:

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს როგორც მკვლევარსა და ლექტორს მუშაობა შეეძლება:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში.
- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში.
- საქართველოს არქივებში.
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში.
- საგამომცემლო ორგანიზაციებში.

დამატებითი ინფორმაცია:

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს 10 სტუდენტს.
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრანტს არჩევითი საგნის სტატუსით შეუძლია აირჩიოს საგნები მონათესავე სამაგისტრო პროგრამებიდან პროგრამის ხელმძღვანელთან შეტანხმებით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 2

სილაბუსები: იხ. დანართი № 3

პროგრამის ხელმძღვანელი: რამაზ ქურდაძე, სრული პროფესორი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

დამანა მელიქიშვილი – ემერიტუსი პროფესორი, პირველი მოდულის თანახელმძღვანელი
ვახტანგ იმნაიშვილი – ასოცირებული პროფესორი, პირველი მოდულის თანახელმძღვანელი
რამაზ ქურდაძე – სრული პროფესორი, მეორე მოდულის ხელმძღვანელი
სალომე ომიაძე – ასოცირებული პროფესორი, მესამე მოდულის ხელმძღვანელი
მერი ნიკოლაიშვილი – ასოცირებული პროფესორი, მეოთხე მოდულის თანახელმძღვანელი.
კახა გაბუნია – ასოცირებული პროფესორი, მეოთხე მოდულის თანახელმძღვანელი.
ანა ხარანაული – ასოცირებული პროფესორი
დარეჯან თვალთვაძე – ასოცირებული პროფესორი
ზურაბ ჭუმბურიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი

თედო უთურგაიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
გიორგი გოგოლაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ქეთევან დათუკიშვილი – აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
მარინე ბერიძე – აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
თამარ ინჯია – აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
რუსუდან ზექალაშვილი – ასოცირებული პროფესორი
მაია ლომია – ასოცირებული პროფესორი
ქეთევან მარგიანი-დადვანი მოწვეული ლექტორი
ლეილა გეგუჩაძე - აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
პაატა ცხადაია - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ბაზაზე. პროგრამის სტუდენტის განკარგულებაშია საერთო საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო და კომპიუტერული რესურს–ცენტრები, ამასთანავე პროგრამას მჭიდრო კავშირი აქვს ენათმეცნიერების ინსტიტუტთან და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, სადაც დაცულია უმდიდრესი ქართული სამწერლობო კულტურის საგანძური. აღნიშნულ ცენტრებში სტაჟირეის გავლა მაგისტრანტს მისცემს სასურველ პრაქტიკულ გამოცდილებას და დაეხმარება მას სრულფასოვან სამეცნიერო–პედაგოგიურ კადრად ჩამოყალიბებაში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის **„ქართველური ენათმეცნიერების“** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დანართი 2

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ქართული ენის ინსტიტუტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ქართველური ენათმეცნიერება**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **სრ. პროფ. რამაზ ქურდაძე**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №122/2011 დადგენილების საფუძველზე)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

ყველა მოდულისათვის სავალდებულო კურსები / – 30 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი**	**ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება**	**შუალედური გამოცდების/გამოცდების მოსამზადებლად**	**დასკვნითი გამოცდის მოსამზადება**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
1	**სახელისა და ზმნის კატეგორიების სისტემური ანალიზი**	5	30	30	45	10	7	3	წინაპირობის გარეშე	I		დამანა მელიქიშვილი

2	ქართული სამწერლობო ენის ისტორიული გრამატიკა	5	30	30	45	8	9	3	**წინაპირობის გარეშე**	III		ლელი ბარამიძე ვახტანგ იმნაიშვილი
3	ენათა ინტერეფერენციები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ანა ხარანაული
4	ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ზურაბ ჭუმბურიძე
5	ბუნებრივ ენათა დამუშავება	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ქეთევან დათუკიშვილი
6	ენა და კულტურა (ქართული ენის კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტები)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	რამაზ ქურდაძე
მოდულები – 30 კრედიტი (ECTS)												
მოდული: —I———ძველი და ახალი ქართული სალიტერეტურო ენა მოდულის ხელმძღვანელები: ემერიტ. პროფესორი დამანა მელიქიშვილი, სრ. პროფ. ვახტანგ იმნაიშვილი სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
1	პალეოგრაფია და კოდიკოლოგია	5	30	30	45	10	7	3	წინაპირობის გარეშე		II	დარეჯან თვალთვაძე
2	ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა I	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ანა ხარანაული
3	ძველი ქართული ენის საკვანძო საკითხები	5	15	30	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	I		დარეჯან თვალთვაძე ლელი ბარამიძე
4	ქართული შესიტყვების–სტრუქტურა მექანიზმი	5	30	15	60	10	7	3	ძველი ქართული ენის საკვანძო საკითხები		II	დამანა მელიქიშვილი
5	თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა (ცვლილებები და ნორმა)	5	15	30	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	III		რუსუდან ზექალაშვილი
6	ენობრივ დონეთა შუალედური სისტემები	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	III		თედო უთურგაიძე
მოდული: ——II———ქართველური ენები და დიალექტები მოდულის ხელმძღვანელი: სრ. პროფ. რამაზ ქურდაძე სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
1	კოლხურის ფონემატური სტრუქტურა	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	I		ნათელა ქუთელია

2	სვანურის ფონემატური სტრუქტურა	5	15	30	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე		II	მერი ნიკოლაიშვილი
3	კოლხური ენის გრამატიკა	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	I		მაია ლომია
4	სვანური ენის მორფოსინტაქსი	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე		II	ზურაბ ჭუმბურიძე
5	კოლხურის/სვანურის ლექსიკოლოგია	5	15/15	15/15	18/18	5/5	8/8	1,5/1,5	კოლხური ენის გრამატიკა; სვანური ენის მორფოსინტაქსი	III		მაია ლომია/ქეთევან მარგიანი
6	ენის ისტორია და დიალექტოლოგია	5	30	15	60	10	7	3	ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა		II	გიორგი გოგოლაშვილი
მოდული: —III———ქართული ენის პრაგმატიკა მოდულის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. სალომე ომიაძე სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
1	ქართული სამეტყველო ეტიკეტი	5	15	30	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	I		რუსუდან ზექალაშვილი
2	მასმედიის ენა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		სალომე ომიაძე
3	ქართული პროფესიული ენა და ტერმინოლოგია	5	30	15	60	10	7	3	მასმედიის ენა		II	დამანა მელიქიშვილი
4	ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა	5	30	30	45	8	9	3	ქართული სამეტყველო ეტიკეტი	III		გუჩა კვარაცხელია
5	დისკურსის ანალიზი	5	30	15	60	10	7	3	მასმედიის ენა		II	სალომე ომიაძე
6	ქართული ლინგვოკულტურული სივრცე	5	30	30	45	8	9	3	მასმედიის ენა; ქართული სამეტყველო ეტიკეტი	III		სალომე ომიაძე
მოდული: ——IV———ქართული, როგორც მეორე ენა მოდულის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მერი ნიკოლაიშვილი, ასოც. პროფ. კახა გაბუნია სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
1	ბილინგვიზმი და ენათა ფლობის ზოგადევროპული სტრატეგიები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მერი ნიკოლაიშვილი
2	ენთა ფლობის დონეთა ზოგადევროპული კომპეტენციები	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		კახა გაბუნია

3	ქართული ენის სწავლება მეორე ენის ფლობის თანამედროვე თეორიების მიხედვით	5	30	30	45	8	9	3	ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის ლინგვისტური კომპეტენციები;	III		რამაზ ქურდაძე
4	ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის დონის შეფასება	5	30	30	45	8	9	3	ენთა ფლობის დონეთა ზოგადევროპული კომპეტენციები	II		კახა გაბუნია
5	ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის ლინგვისტური კომპეტენციები	5	30	30	60	10	7	3	ბილინგვიზმი და ენათა ფლობის ზოგადევროპული სტრატეგიები		II	ელენე ბაბუნაშვილი მერი ნიკოლაიშვილი,
6	ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის პრაგმატული და სოციოლინგვისტური კომპეტენციები	5	30	15	45	8	9	3	ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის დონის შეფასება		III	გიული შაბაშვილი
არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი												
1	ძველი ქართული თარგმანის ენობრივი სტილი I. ძველი აღთქმის ქართული თარგმანის ენობრივი სტილი და თარგმანის ტექნიკა	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ანა ხარანაული
2	ძველი ქართული თარგმანის ენობრივი სტილი II. ელინოფილური თარგმანების ენობრივი სტილი (შავი მთა-გელათი)	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე		II	დამანა მელიქიშვილი
3	მხატვრული ტექსტის ენობრივი ფენომენი	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	III		თამარ ინჯია
4	ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა II	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ანა ხარანაული
5	არეალური დიალექტოლოგია	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	მარინე ბერიძე
6	აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე		II	თედო უთურგაიძე
7	სემიოტიკა	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	I		გუჩა კვარაცხელია
8	ქართული ენის გრამატიკის შესწავლის აქტუალური საკითხები	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მერი ნიკოლაიშვილი
9	ენა და მწერალი	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		გიორგი გოგოლაშვილი

10	ქართველური ონომასტიკა	5	30	15	60	10	7	3	წინაპირობის გარეშე	III		პაატა ცხადაია
11	ტექსტური კორპუსები და კორპუსული ტექნოლოგიებით ენობრივი მონაცემების დოკუმენტირება და კვლევა	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მარინე ბერიძე
12	ლინგვოკულტუროლოგია	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	სალომე ომიაძე
13	კომპიუტერული ლექსიკოგრაფია	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ნანა ლოლაძე
14	სამეცნიერო-დიალექტოლოგიური ექსპედიცია	5										
15	ენის კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მერი ნიკოლაიშვილი
16	სპეკკურსი ძველ ქართულ ზმნაში	5	15	30	39	26	12	3	ძველი ქართული ენის საკვანძო საკითხები		II	ლელა ციხელაშვილი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1/ ტესტი	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
არჩევითი კურსები სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან												
1	უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები („თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	30					წინაპირობის გარეშე			თამაზ გამყრელიძე
2	დიდაქტიკა („მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	30					წინაპირობის გარეშე			თამაზ კარანაძე, ქეთევან ჭკუასელი, ნინო ჩახუნაშვილი, მაია მემარნიშვილი, თინათინ დოლიძე, ნათია ბებიაშვილი
3	განათლების სისტემები და მათი აგების სამართლებრივი საფუძვლები („მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	45					წინაპირობის გარეშე			მაია მემარნიშვილი, ქეთევან ჭკუასელი, თინათინ დოლიძე, ნინო ჩახუნაშვილი
4	განათლების ფსიქოლოგია	5	45	15					წინაპირობის გარეშე			თეონა ლოდია, სოფიო

	(„მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამიდან											დოლიძე, ელენე ოყროშიძე
5	ქართული მწიგნობრობის კერები („შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15					წინაპირობის გარეშე			თამარ ოთხმეზური
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**										

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

თარიღი ——————————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი